

რეგიონალური კამპანია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალი კავკასია მიმართვა



მიმართვა: სოლიდარობა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების მსხვერპლთა და მათი თემების მიმართ

მსოფლიოს მასშტაბით სამხრეთ კავკასია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებითა და ომის ფეთქებადი ნარჩენებით ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაბინძურებული არეალია. ბოლო სამნახევარი ათწლეულის განმავლობაში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებსა და სხვა აუფეთქებელ იარაღებს ათასობით მსხვერპლი მოჰყვა, რომელთაგან რამდენიმე ასეული ბოლო წელს დაზიანდა. ამას გარდა, ასეთი დაბინძურება უარყოფითად აისახება რეგიონის თემებზე და გავლენას ახდენს ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც მათ მუდმივი რისკისა და საფრთხის წინაშე აყენებს.

2019 და 2021 წლებში კამპანია - ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალი სამხრეთ კავკასია - წარმატებით განხორციელდა რეგიონში. ხელისუფლების წარმომადგენლები და სამოქალაქო საზოგადოება საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად განიხილავდნენ იმ საფრთხეს, რომელსაც ასეთი ნაღმები ქმნიან და აშუქებდნენ მათი გაუვნებელყოფების შესაძლებლობებს. კამპანიის მთავარი სათქმელი სკოლებისა და თემებისთვის იყო ის, რომ სამხრეთ კავკასია უნდა იქცეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალ ზონად.

სიხარულით ვაცხადებთ, რომ 2022 წლის რეგიონალური კომპანია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალი კავკასია იწყება 30 ნოემბერს სამხრეთ კავკასიაში ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებითა და ომის ფეთქებადი ნარჩენებით დაზარალებულთა სოლიდარობის დღეს.

როგორც წარსულში, კამპანია წარიმართება ხუთ ენაზე: სომხურ, აზერბაიჯანულ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. კამპანია 30 ნოემბრიდან 2023 წლის 30 ივნისამდე გაგრძელდება. იგი ძირითადად ორიენტირებული იქნება ცნობადობის გაზრდაზე იმ მძიმე ადამიანური და ეკონომიკური ზარალის შესახებ, რომელიც მოჰყვება ომის ფეთქებად ნარჩენებს,

აგრეთვე მათი სწრაფად აღმოფხვრის საჭიროებაზე. დაზარალებულნი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებით დაზარალებული თემების მიმართ სოლიდარობის გამოცხადებით, გვინდა დავარწმუნოთ ისინი, რომ მართო არ არიან. ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ, რომ ასობით განმნაღმველი მთელ რეგიონში ყოველდღიურად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მუშაობს, რომ თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება. ჩვენ მივვსალმებით მათ ძალისხმევას და მადლობას ვუხდით ასეთი შრომისთვის.

რადგან მინა თავისუფლდება ასეთი ნარჩენებისაგან და მისი გამოყენების შესაძლებლობა იქმნება, დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ სწორედ დაზარალებული თემები მიიღებენ ეკონომიკურ შემოსავალს ამ მინების ათვისებით. ჩვენ ვაფასებთ საერთაშორისო საზოგადოების დახმარებას სამხრეთ კავკასიის ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებითა და ომის ფეთქებადი ნარჩენებით განმენდის საქმეში. მაგრამ შესასრულებელი სამუშაო იმდენად დიდია, რომ მას სჭირდება უფრო მეტი მხარდაჭერა, რომ ადგილობრივმა განმნაღმველებმა თავი გაართვან დასახულ მიზანს. ეს დახმარება უნდა იყოს სწრაფი და, მეორე მხრივ, ისეთი სახის, რომ მოიტანოს შესამჩნევი შედეგი.

ჩვენ მივმართავთ სამხრეთ კავკასიის ხალხებსა და საერთაშორისო საზოგადოებას:

- შემოგვიერთდით და ერთად გამოვხატოთ სოლიდარობა იმ პირებისა და თემების მიმართ, რომლებიც არიან ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისა და ომის ფეთქებად ნარჩენთა მსხვერპლნი;
- შემოგვიერთდით, რომ ერთად გადავუხადოთ მადლობა განმნაღმველებს;
- შემოგვიერთდით, რომ სამხრეთ კავკასია ვაქციოთ ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალი რეგიონად ამ ათწლეულის განმავლობაში.

20 ნოემბერი, 2022 რეგიონალური კამპანია ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალი კავკასია

რეგიონალური კამპანია - ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისაგან თავისუფალი კავკასია - მიმდინარეობს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ორგანიზაციებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით. კომპანიის კოორდინატორია ლინკს ევროპა (LINKS Europe). მისი მხარდაჭერია ევროკავშირი. მეტი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით პატრიკ ნორენს: patrick@links-europe.eu

#LandminefreeSC22

